პროლეტარელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. აპრილის 30 № 8 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

61. საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

62. სისხ. სამ. კოდ. 92 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

63. დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების „სამდღიური"-ს მოწყობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

64. შენობის გადასახადის უკიდურესი განაკვეთის შესახებ.

65. კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის შესახებ.

66. სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ.

67. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, 1928-29 წლის საბიუჯეტო წლისთვის, ადგილობრივ ბიუჯეტში შესულ გამოსაღებზე %-ული დანარიცხების დაწესების შესახებ იმ სახალხო მოსამართლეთა გასამრჯელოს გასაღებად, რომელნიც ნოტარიუსის მოვალეობას ასრულებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიისა და აგრეთვე მისი დებულების გაუქმების შესახებ.

69. 1928-29 სბიუჯეტო წლისთვის ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა და არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების შტატებისა და ჯამაგირების განსაზღვრის შესახებ.

70. მუშათა და გლეხთა წითელარმიის კადრის მეუფროსეთა შედგენილობის პირთათვის, თავმოყრის დროს, ბინის ქირის 50%-ანი შეღავათის დაწესების შესახებ.

71. „სახელმწიფო შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის პუბლიკაციის“ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ნოემბრის 4 თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლ მუხლისთვის შენიშვნის დამატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

61. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. იანვრის 30.
ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა I.

1. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოებად ითვლებიან:

ა) აფხაზეთის სსრ-ის სტატისტიკის სამმართველო, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სტატისტიკის სამმართველო, საქართველოს სტატისტიკის ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური სამმართველოს რწმუნებულის სამმართველო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან;

ბ) სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების სტატისტიკის განყოფილებანი;

გ) რაიონების სტატისტიკოსები.

2. ამა დებულების პირველ მუხლში დასახელებული ორგანოები ითვლებიან საქართველოს სსრ სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებად და განაგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის სტატისტიკურ სამუშაოთა ორგანიზაციისა და განხორციელების საქმეს.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმებსა და პროგრამებს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სტატისტიკის სამმართველონი და საქართველოს სსრ-ის სტატ. ცენტ. სამმართველოს რწმუნებულის სამმართველო სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტ. აღმ. კ-ტთან და აგრეთვე სამაზრო და საქალაქო სტატ. განყოფილებანი წარუდგენენ განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სტატ. ცენტრალურ სამმართველოს.

4. არავითარ დაწესებულებას და პირს არ შეუძლიან დააკისროს ადგილობრივ სტატ. ორგანოს ისეთი სამუშაოს და ოპერაციის შესრულება, რაც ამა დებულების ძალით მის გამგებლობის საგანს არ შეადგენს და რასაც სტატისტიკური სამუშაოს ხასიათი არა აქვს.

5. ადგილობრივ მმართველობას და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს შეუძლიან დააკისროს ადგილობრივ სტატ. ორგანოს სტატისტიკური ხასიათის სამუშაო მხოლოდ საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოსთან შეთანხმებით და ისიც იმ შემთხვევაში, უკეთუ ასეთი სამუშაოს წარმოება არ არღვევს სახელმწიფო სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმას.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა II.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატ-კის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურა.

1. აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკის სამმართველოები.

6. აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტ. სსრ სტატ. სამმართველოები და საქართველოს სტატ. ცენტრ. სამმართველოს რწმუნებულის სამმართველო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრ. აღმ. კ-ტთან მოქმედებენ ავტონომიური რესპუბლიკების გაერთიანებული სახალხო კომისარიატის უფლებების საფუძველზე.

7. სტატ. სამმართველოს სათავეში სდგას: აფხაზეთის სსრ-ში და აჭარისტანის ავტ. სსრ-ში სტატ. სამმართველოს მმართველი, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—საქართველოს სტატ. ცენტ. სამმართველოს რწმუნებული, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც დაინიშნებიან საქართველოს სსრ-ის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო კომისარიატების საერთო დებულების თანახმად.

8. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სტატ. სამმართველოებისა და საქართველოს სტატ. ცენტ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცენ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს შედგენილობაში შედის:

ა) სტატ. სამმართველოს მმართველი და რწმუნებული;

ბ) სოციალური სტატისტიკის განყოფილება;

გ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტატისტიკის განყოფილება;

დ) მრეწველობისა და შრომის სტატისტიკის განყოფილება;

ე) აღებმიცემობის სტატისტიკის განყოფილება;

ვ) საერთო განყოფილება.

II. სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის სტატ. განყოფილებანი.

9. სამაზრო და საქალაქო აღმ. კომიტეტების სტატ. განყოფილებათა სათავეში სდგანან განყოფილებათა გამგენი, რომელთაც აარჩევს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველო.

შენიშვნა. უკეთუ საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს მმართველი თანახმა არ არის ამა თუ იმ არჩეული, ამა მუხლში აღნიშნული გამგის დანიშვნისა, საკითხი გადასაჭრელად გადაიტანება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

10. სამაზრო და საქალაქო აღმ. კ-ტის სტატ. განყოფილებათა შედგენილობაში შედის:

ა) სოციალური სტატისტიკის განყოფილება და

ბ) სამეურნეო სტატისტიკის განყოფილება.

შენიშვნა. ადგილობრივი პირობების მიხედვით სამაზრო და საქალაქო აღმ. კომიტეტების სტატ. განყოფილებათა სტრუქტურაში შეიძლება ამა თუ იმ ცვლილების შეტანა სათანადო სამაზრო და საქალაქო აღმ. კომიტეტის თანხმობით და საქართველოს სტატ. ცენ. სამმართველოს დასტურით.

III. რაიონების სტატისტიკოსები.

11. რაიონების სტატისტიკოსები თავიანთ მოქმედებაში უშუალოდ ემორჩილებიან ავტ. რესპუბლიკებისა და ოლქის სტატ. სამმართველოებს და სამაზრო და საქალაქო აღმ. კომიტეტის სათანადო სტატ. განყოფილებას.

12. რაიონების სტატისტიკოსებს დანიშნავენ და დაითხოვენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სტატ. სამმართველონი და სამაზრო და საქალაქო აღმ. კომიტეტების სტატ. განყოფილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება III.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის აღგილობრივი ორგანოების გამგეგლობის საგანი.

ა) აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სტატ. სამმართველოებისა.

13. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სტატ. სამმართველოებისა და საქართვ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ადგილობრივი სტატ. ორგანოთა მოწყობა და მათთვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) სტატ. სამუშაოების წლიური და პერსპექტიული გეგმების შედგენა და განსახილველად საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოში წარდგენა;

გ) სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატ. სამუშაოთა გეგმების განხილვა და აგრეთვე სტატ. სამუშაოების მოცულობისა და წარმოების წესის განსაზღვრა და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოში წარდგენა;

დ) სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ საოპერაციო წლის განმავლობაში, საწარმოებელ გეგმის მიხედვით გეგმის გარეშე სტატისტიკურ სამუშაოთა შესახებ დასკვნის მიცემა და მათი სტატისტიკურ სამუშაოთა საერთო გეგმასთან შეთანხმება;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის ცალკე გამოკვლევათა და აღწერათა პროგრამებისა და საორგანიზაციო გეგმების შედგენა;

ვ) საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს მიერ დაკისრებულ სტატისტიკურ სამუშაოთა შესრულება;

ზ) ადგილობრივი აღწერების წარმოება;

თ) აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სამმართველოებისა და საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს ქვემდებარე სტატ. ორგანოებისა, სახ. კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შეკრეფილ სტატისტიკურ მასალის შეჯუმლვა და დამუშავება, როდესაც ეს გათვალისწინებულია სამუშაოთა სათანადო გეგმით;

ი) აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის მთავრობების დავალებით სტატისტიკურ სამუშაოთა შესრულება;

კ) სტატისტიკის ცოდნის გავრცელებისა და სტატისტიკის დარგის მომუშავეთა კადრის მომზადებისათვის სათანადო ღონისძიებათა მიღება;

ლ) სტატისტიკური ხასიათის ცნობების მიწოდება სახელმწიფო დაწესებულებათათვის მათი მოთხოვნისამებრ;

მ) ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატისტიკურ მუშაობის მოწესრიგება და მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა, აგრეთვე ამ მუშაობის დაყენებისა და განხორციელებისათვის კონტროლის გაწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სტატ. სამმართველოებისა და საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს სოციალური სტატისტიკის განყოფილებათ დაეკისრებათ:

ა) ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ და დასახლებული პუნქტების შედგენილობაში მომხდარი ცვლილებების აღნუსხეა;

ბ) მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის დაკვირვება და სხვა მუშაობა, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის მოძრაობის შესწავლასთან;

გ) მოსახლეობის რაოდენობისა და შედგენილობის გამორკვევა დემოგრაფიული, ნაციონალური და პროფესიული ნიშნების მიხედვით;

დ) სახალხო განათლების სტატისტიკა;

ე) მორალური სტატისტიკა;

ვ) სახალხო ჯანმთელობისა და სასანიტარო-სამკურნალო საქმის შესწავლა;

ზ) კომუნალურ მეურნეობის შესწავლა;

თ) ყოველი სახის მშენებლობის შესწავლა;

ი) საბინაო საკითხის შესწავლა;

კ) საარჩევნო სტატისტიკა.

15. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონ. სსრ-ის სტატ. სამმართველოებისა და საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტატისტიკის განყოფილებათ დაეკისრებათ:

ა) სას.-სამეურნეო წარმოების წლიური ციკლისა და, კერძოდ, ნათესებისა და ბალახეულობის მდგომარეობის დაკვირვება;

ბ) სას.-სამეურნეო წარმოების ძირითადი ელემენტების შესწავლა;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის პურ-ფურაჟის ბალანსისა, სხვა დარგებისა და მთლად სოფლის მეურნეობის ბალანსების შესწავლა;

დ) სოფლის მეურნეობის დიფერენციაციისა და განზოგადოების პროცესების შესწავლა;

ე) სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა, რაციონალიზაციისა და რეკონსტრუქციის პროცესების შესწავლა;

ვ) ჭარბი მოსახლეობის გამორკვევა და კოლონიზაციის საკითხების შესწავლა;

ზ) სოფლის მეურნეობაში კაპიტალის დაგროვების პროცესებისა, რაოდენობისა და შედგენილობის შესწავლა;

თ) საგლეხო მეურნეობის საბიუჯეტო სტატისტიკის წარმოება და სოფლის მოსახლეობის სამეურნეო და საპირადო მოხმარების სფეროს გამორკვევა.

16. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონ. სსრ-ის სტატ. ცენ. სამმართველოებისა და საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენ. აღმ. კ-თან) სამმართველოს მრეწველობისა და შრომის სტატისტიკის განყოფილებათ დაეკისრებათ:

ა) მრეწველობის კონიუნქტურის დაკვირვება;

ბ) სამრეწველო წარმოების ძირითადი ელემენტების შესწავლა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამრეწველო წარმოების ნატურალური და ფასობრივი მოცულობის გამოანგარიშება;

დ) მრეწველობის კონცენტრაციის პროცესებისა და ინდუსტრიალური წარმოების რაციონალიზაციისა და რეკონსტრუქციის შესწავლა და აგრეთვე მსხვილი და წვრილი მრეწველობის თანაფარდობის გამორკვევა;

ე) მრეწველობაში კაპიტალის დაგროვების პროცესებისა, რაოდენობისა და შედგენილობის შესწავლა;

ვ) შრომის ნაყოფიერებისა, მუშა-ძალისა და სამუშაო ხელფასის მოძრაობისა და სამუშაო დროის გამოყენების დაკვირვება;

ზ) მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისა, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტების შესწავლა;

თ) სოციალური დაზღვევის სტატისტიკის წარმოება.

17. აფხაზეთის სსრ-ისა და აპარისტანის ავტონ. სსრ-ის სტატ. სამმართველოებისა და საქართველოს სტატ. კომ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის კომ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს აღებმიცემობის განყოფილებათ დაეკისრებათ:

ა) სოფლის ფასების მოძრაობის დაკვირვება და ინდექსების გამოანგარიშება;

ბ) სავაჭრო ქსელის სტატისტიკის წარმოება (რკ. გზისა, წყლისა, ჰაპანზიდვისა);

დ) საგადასახადო სტატისტიკის წარმოება;

ე) აფხაზეთის სსრ-ისა, აპარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის და მათ შედგენილობაში შემავალი ადმინისტრატიული ერთეულების ბიუჯეტების შესწავლა;

ვ) კოოპერაციის სტატისტიკის წარმოება.

18. აფხაზეთის სსრ-ისა და აპარისტანის ავტ. სსრ-ის სტატ. სამმართველოებისა და საქართველოს სტატ. კომ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის კომ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს საერთო განყოფილებათ დაეკისრებათ:

ა) სტატისტ. სამმართველოს საქმეებზე საერთო მიწერ-მოწერის წარმოება;

ბ) სტატ. სამმართველოს პირადი შედგენილობისა და სტატისტიკის დარგში კვალიფიციური მომუშავეების აღნუსხვა სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის ტერიტორიაზე;

გ) იმ საკითხების დამუშავება, რაც სტატ. სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოების შტატებსა და ხარჯთაღრიცხვას შეეხება, აგრეთვე სათანადო ავტ. რესპუბლიკისა თუ ოლქის სხვა სტატისტიკური დაწესებულების შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების საკითხების თაობაზე დასკვნის მიცემა;

დ) სტატისტიკური მუშაობის ტეხნიკის რაციონალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება;

ე) ზედამხედველობის გაწევა, რათა აფხაზეთის სსრ-ისა, აპარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე მყოფმა ამა თუ იმ დაწესებულებამ, საწარმომ და კერძო პირმა შეასრულოს მისთვის სავალდებულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება და განკარგულება სათანადო ორგანოებისა სტატისტიკის საკითხების შესახებ, და, არსებული წესისამებრ, შესაფერ ღონისძიებათა მიღება ამ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებისათვის;

ვ) სტატ. სამმართველოს გამოცემლობისა და საინფორმაციო ნაწილის გამგებლობა;

ზ) სტატ. სამმართველოს სამეურნეო ნაწილის გამგებლობა და მის შენობის დაცვა;

თ) სტატისტიკური ცოდნის გავრცელებისა და სტატ. მომუშავეთა კადრის მომზადებისათვის სათანადო ღონისძიებათა განხორციელება უწყებულ აეტ. რეს-პუბლიკასა თუ ოლქში;

ი) სასტატისტიკო თათბირების ორგანიზაცია;

კ) სხვა საადმინისტრაციო-საფინანსო და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა, რაც სტატ. სამმართველოს მუშაობის პროცესში აღიძვრის.

ბ) სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების სტატ. განყოფილებისა.

19. სამაზრო და საქალაქო აღმ. კომიტეტების სტატ. განყოფილებათ დაეკისრებათ:

ა) სტატისტიკური დაკვირვების პირველადი ორგანოების მოწყობა და მათთვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის სტატისტიკურ ცალკე გამოკვლევათა და აღწერათა პროგრამებისა და გეგმების შედგენა;

გ) საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს დავალებით სტატ. სამუშაოების შესრულება;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის აღწერათა წარმოება;

ე) სახელშეიფო დაწესებულებათათვის სტატ. ცნობების მიწოდება მათი მოთხოვნისამებრ.

20. ა) ადმინისტრ.-ტერიტორიალურ და დასახლებულ პუნქტების შედგენილობაში მომხდარ ცვლილებათა აღნუსხვა;

ბ) მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკურ მოძრაობის დაკვირვება და ამ მოძრაობის შესწავლასთან დაკავშირებული სხვა მუშაობის წარმოება;

გ) მოსახლეობის რაოდენობისა და შედგენილობის გამორკვევა დემოგრაფიული, ნაციონალური, სოციალური და პროფესიული ნიშნების მიხედვით;

დ) სახალხო განათლების სტატისტიკა;

ე) მორალური სტატისტიკა;

ვ) სახალხო ჯანმრთელობისა და სასანიტარო-სამკურნალო საქმის შესწავლა;

ზ) კომუნალური მეურნეობის შესწავლა;

თ) საბინაო საკითხის შესწავლა;

ი) ყველა სახის მშენებლობის სტატისტიკა;

კ) საარჩევნო სტატისტიკა;

21. ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების წლიურ ციკლისა და, კერძოდ, ნათესებისა და ბალახეულობის მდგომარეობის დაკვირვება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სას.-სამეურნეო წარმოების ძირითადი ელემენტების აღნუსხვა;

გ) პურ-ფურაჟის ბალანსის შედგენა;

დ) ჯარბი მოსახლეობის გამოკვლევა და კოლონიზაციის შესწავლა;

ე) სოფლის მეურნეობაში კაპიტალის დაგროვების პროცენტებისა, რაოდენობისა და შედგენილობის შესწავლა;

ვ) საგლეხო მეურნეობის საბიუჯეტო სტატისტიკის წარმოება და სოფლის მოსახლეობის სამეურნეო და საპირადო მოხმარების სფეროს გამორკვევა;

22. ა) მრეწველობის კონიუნქტურის დაკვირვება მთავარი მაჩვენებლების მიხედვით;

ბ) სამრეწველო წარმოების ძირითადი ელემენტების შესწავლა;

გ) სამრეწველო წარმოების ნატურალური და ფასობრივი მოცულობის გამოანგარიშება;

დ) შრომის ნაყოფიერებისა, მუშა-ძალისა და სამუშაო ხელფასის მოძრაობისა და სამუშაო დროის გამოყენების დაკვირვება;

ე) მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისა, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტების შესწავლა;

ვ) სოციალური დაზღვევის სტატისტიკის წარმოება.

23. ა) საქონლის ფასების მოძრაობის დაკვირვება და ინდექსების გამოანგარიშება;

ბ) სავაჭრო ქსელის სტატისტიკის წარმოება და სავაჭრო ბრუნვების გამორკვევა;

გ) საგადასახადო სტატისტიკის წარმოება;

დ) ადგილობრივი ბიუჯეტების გამოკვლევის ჩატარება;

ე) კოოპერაციის სტატისტიკის ცნობების შეკრეფა.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა IV.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატ-კის ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობანი.

ა) ავტ. რესპუბლიკებისა და ოლქის სტატ. სამმართველოები.

24. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სტატ. სამმართველოებს და საქართველოს სსრ სტატ. ცენ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქის ცენ. აღმ. კტ-თან) სამმართველოს, მათთვის დაკისრებული მიზნების განსახორციელებად, უფლება აქვთ:

ა) მოსთხოვონ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს და პირს სტატისტიკური მუშაობისათვის საჭირო ცნობებისა და მასალების წარდგენა სტატ. სამმართველოს მიერ დანიშნულ ვადაზე;

ბ) გამოსცენ მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინსტრუქციები, ცირკულიარები და სხვ. სტატისტიკის საკითხების შესახებ;

გ) ზედამხედველობა გაუწიონ ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს, რომელიც კი უწყებული ავტონ. რესპუბლიკისა და ოლქის ტერიტორიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმყოფება, რათა მათ სისწორით შეასრულონ ყველა მათთვის სავალდებულო დადგენილება და განკარგულება სტატ. საკითხების შესახებ;

დ) მისცენ დასკვნა უწყებული ავტ. რესპუბლიკისა თუ ოლქის ტერიტორიაზე მყოფი სახალხო კომისარიატისა და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მიერ წარმოებულ სტატ. სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო და საშტატო განზრახულების შესახებ;

ე) მოაწყონ სასწავლო და სასწავლო-დამხმარე სასტატ. დაწესებულებანი, სტატისტიკის კურსები, ბიბლიოთეკები და სხვ.;

ვ) მოიწვიონ სტატ. თათბირები ადგილობრივ სტატ. დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან;

ზ) აწარმოონ ფოსტით უფასოდ კორესპონდენციები გაგზავნ-გამოგზავნა თავის კორესპონდენტებთან.

25. აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მყოფი ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე კერძო დაწესებულება და პირი მოვალეა წარუდგინოს ორ ცალად აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სტატ. სამმართველოს და საქართველოს სტატ. ცენტ. სამმართველოს რწმუნებულის (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტ. აღმ. კ-ტთან) სამმართველოს მის მიერ გამოშვებული გამოცემა სათანადო ატონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის სტატისტიკისა და ეკონომიკის საკითხების შესახებ, ერთი თვის განმავლობაში დღიდან გამოცემის გამოსვლისა.

ბ) სამაზრო და საქალაქო აღმ. კომიტეტების სტატ. განყოფილებანი.

26. სამაზრო და საქალაქო აღმ. კ-ტეტების სტატ. განყოფილებანი არიან საქართველოს სსრ სტატ. ცენტ. სამმართველოს (და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის) აღმასრულებელი ორგანოები და ამ უკანასკნელთა ფუნქციებს ასრულებენ თავთავიანთ ტერიტორიაზე კუთვნილებისამებრ;

27. სამაზრო და საქალაქო აღმ. კ ტების სტატ. განყოფილებანი მოაწყობენ რაიონების სტატისტიკოსების ქსელს, ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ მუშაობას და მიიღებენ ღონისძიებას მათი მუშაობის კვალიფიკაციის წარმატებისათვის.

რაიონების სტატისტიკოსების უფლება-მოვალეობანი.

28. რაიონების სტატისტიკოსებს დაეკისრება შემდეგი სამუშაო:

I. სოციალური სტატისტიკის დარგში.

დემოგრაფია: ა) დასახლებულ ადგილთა სიების წარმოება; ბ) მეკომურთა სიების წარმოებისა და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღნუსხვისათვის თვალყურის დევნება; გ) მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოების მოქმედებისათვის თვალყურის დევნება სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერისა და სტატისტიკური ფურცლების სტატ. სამმართველოებისა და სტატ. სამაზრო განყოფილებათათვის თავის დროზე გაგზავნის სფეროში; დ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულება-ორგანოების დაბალი ქსელის კავშირგაბმულობა, მილიცია, სასამართლო, სოც. დაზღვევა, სახ. ჯანმრთელობა, სახ. განათლება და სხ. აღნუსხვა.

მორალური სტატისტიკა: ა) სტატისტიკოსის რაიონში თავის მკვლელობის ყველა შემთხვევაზე ფურცლების შედგენა; ბ) თვალყურის დევნება, რათა სახალხო მოსამართლეებმა „მსჯავრდადებულთა ფურცლები" სისწორით შეავსონ და თავის დროზე გაუგზავნონ სამაზრო სასამართლოს, რისთვისაც რაიონის სტატისტიკოსს უფლება აქვს გაეცნოს სისლის სამართლის საქმეების მოძრაობის ნუსხებს.

სახალხო განათლების სტატისტიკა: მეთვალყურეობის გაწევა, რათა სახალხო განათლების მიმდინარე გამოკვლევების თაობაზე სტატ. ფორმულიარები სისწორით იქნეს შევსებული და თავის დროზე გაიგზავნოს სტატ. სამმართველოებში და სამაზრო სტატ. განყოფილებებში.

სახალხო ჯანმრთელობის სტატისტიკა: თვალყურის დევნება, რათა სახალხო ჯანმრთელობის ორგანოების მიერ თავის დროზე იქნეს შესრულებული მისახლეობის დაავადების ანგარიშგება და აღნუსხვა.

II. სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის დარგში.

ა) დღიურების წარმოება და მათი მიხედვით მიმდინარე სას.-სამეურნეო სტატისტიკის ცნობების წლიური ციკლის შევსება; ცნობების შეკრეფა მიწის იჯარით გაცემისა, ჭაპანზიდვის საშუალებით გადატან-გადმოტანისა და სხვ. შესახებ;

ბ) პურეულობისა და ბალახეულობის მდგომარეობის დაკვირვება მთლად სავეგეტაციო პერიოდში;

გ) სას.-სამეურნეო ყველა კულტურის ფაქტიური მოსავლის გამორკვევა;

დ) დაღუპულ ნათესების სივრცის აღნუსხვა;

ე) თავისი რაიონის საექსპერტო კომისიების სხდომებში მონაწილეობის მიღება ამ კომისიების მუშაობის მოსაწესრიგებლად;

ვ) მეკომურთა სიების წინასწარი განხილვა გაზაფხულის შერჩევითი გამოკვლევის საჭიროებისათვის;

ზ) საკვები ნორმების გამოკვლევა;

თ) სას.-სამეურნეო კულტურების პროდუქციის შერჩევითი გამოკვლევა;

ი) სპეციალური კულტურების ანკეტების შევსება;

ჯ) საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა, სას.-სამეურნეო არტელებისა, აგრონომიული, საბეითლო, საგრილებელი და სხვა პუნქტების სიების წარმოება.

III. მრეწველობის სტატისტიკის დარგში.

სამრეწველო დაწესებულებათა და შინამრეწველ-ხელოსნურ სარეწავთა სიების შედგენა და წარმოება. ცენზიან დაწესებულებათა მიერ სასწრაფო ანგარიშების თავის დროზე წარდგენისა და ფორმულიარების სისწორით შევსებისათვის თვალყურის დევნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. შრომის სტატისტიკის დარგში.

ა) უფრო გავრცელებული სახის სამუშაო ხელფასის შესახებ ცნობების მიწოდება;

ბ) სამუშაო ხელფასის ბარათების შევსებისა და თავის დროზე გაგზავნისათვის თვალყურის დევნება.

V. აღებ-მიცემობის სტატისტიკის დარგში.

ა) სათანადო რაიონში კოოპერატიულ დაწესებულებათა სიების შედგენა და წარმოება;

ბ) სავაჭრო დაწესებულებათა სიების შედგენა და წარმოება;

გ) სავაჭრო დაწესებულებათა თვიური კონიუნქტურული აღნუსხვის სრული ცნობების თვის დროზე გაგზავნისათვის თვალყურის დევნება;

დ) პროდუქტებზე არსებული საბაზრო ფასების რეგისტრაცია და ბაზრის დახასიათება დადგენილი ფორმების მიხედვით;

ე) წელიწადში ერთხელ რაიონში მომქმედი ბაზრებისა და იარმუკების გამოკვლევა;

ვ) თავის დროზე ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ ცნობების გაგზავნისათვის თვალყურის დევნება (ცნობები შემოსავლისა, ხარჯისა და დაბეგვრის წყაროების შესახებ).

29. შერჩევა და ინსტრუქტიობის გაწევა მოხალისე კორესპონდენტებისათვის.

30. რესპუბლიკის სტატ. სამმართველოს, საჰიროებისადამიხედვით, შეუძლიან დააკისროს რაიონის სტატისტიკოსს ისეთი სტატ. სამუშაოს წარმოება, რაც ამა დებულებით გათვალისწინებული არ არის.

31. რაიონის სტატისტიკოსის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სტატ. სამუშაოს შესრულება ადგილობრივი ორგანოების დავალებით და ხარჯით შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ შეუშლის სახელმწიფო სტატისტიკის მუშაობის საერთო გეგმის შესრულებას. ისეთ მუშაობას, რაც რაიონის ფარგლებს არა სცილდება, ნებას დართავს სამაზრო აღმ. კ-ტეტის სტატ. განყოფილება, ხოლო მაზრის მასშტაბით მუშაობისათვის საჭიროა საქართველოს სსრ სტატ. სამმართველოს (თანაც ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის სტატ. სამმართველოს) ნებართვა.

---

62. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხ. სამ. კოდ. 92 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ (კან. კრებ. 1924 წ. № 1-ი, მუხ. 7),

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 92 მუხლს (1928 წლის რედ.) დამატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„დამქირავებლის მიერ ხელის შეშლა დაქირავებით მომუშავე პირისათვის რომ მან თავისი საარჩევნო უფლება განახორციელოს—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, ან ჯარიმის ათას მანეთამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 11.
ტფილისი—სასახლე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

63. დადგენილება ც. ა. კ.

დედათა და ბავშთა დაცვის საზოგადოების „სამდღიური“-ს მოწყობის შესახებ.

დედათა და ბავშთა დაცვის საზოგადოების იდეებისა და მიზნების პოპულარიზაციისათვის და მისი მატერიალური სახსრის გაძლიერებისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს სსსრ ტერიტორიაზე „სამდღიური“—8, 9 და 10 მარტს—შემდეგ საფუძველზე:

2. ზემოაღნიშნული სამი დღის (8, 9 და 10 მარტს) განმავლობაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ნება დართული აქვს:

ა) მოაწყოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები დედათა და ბავშთა დაცვის მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები, კინო-თეატრების სადგომები და რადიო-გადაცემა;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) შეაროვოს ყიულაბებთან ნებაყოფლობითი გამოსაღები ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებათა სადგომებში.

3. შემოღებულ იქნეს იმავე სამი დღის განმავლობაში სპეციალური დაბეგვრის სახით დედათა და ბავშთა დაცვის სასარგებლოთ:

ა) სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ-სანახაობის (თეატრი, კინო, ცირკი, დოღი და სხვა) ბილეთებზე—ამ ბილეთების ღირებულების 10%-ის რაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენობით (ინ გამოსაღების გარეშე, რაც დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით);

ბ) სპეციალური გამოსაღები ყველა რესტორანისა, სასადილო და სასტუმროს ბრუნვაზე—მათი სამ დღის საშუალო ბრუნვის 10%-ის რაოდენობით;

გ) სპეციალური გამოსაღები აბანოებში ცალკე ნომრების სარგებლობისათვის არსებული ნიხრით დაწესებული ამ ნომრების ღირებულების 10%-ის რაოდენობით.

4. სამი დღის განმავლობაში შეგროვილი სახსრის ოთხმოცი პროცენტი გადაეცეს დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების ადგილობრივ ქვე-განყოფილებათ, ხოლო ოცი პროცენტი—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილებას უფრო სუსტი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი განსაკუთრებული რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით, რომელიც მოეწყობა სამდღიურის ჩასატარებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 6.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

64. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ძ. ს.

შენობის გადასახადის უკიდურესი განაკვეთის შესახებ.

თანახმად ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 31 მუხლის შენიშვნისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 17 დადგენილების რედაქციით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შენობის გადასახადის უკიდურესი განაკვეთი გადიდებულ იქნეს შენობის მატერიალური ღირებულების ნახევარ პროცენტამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. თებერვლის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 64 №-ში 1929 წ. მარტის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. დადგენილება ს. კ. ს.

კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამოსცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, ინსტ-რუქცია ამა დებულებების განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. მარტის 13.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის შესახებ.

1. კომუნალურ საწარმოთა ძირითადი კაპიტალის დაცვისა და კომუნალური მომსახურეობის ფასების სწორი კალკულაციისათვის ყველა ადგილობრივი საბჭო ვალდებულია აწარმოოს კომუნალურ საწარმოთა ქონების ცვეთის აღნუსხვა და ამორტიზაცია ამ ქონების ღირებულებისა.

შენიშვნა. ქონების ცვეთა და ამორტიზაცია აღინუსხება თვითეულ საწარმოსათვის ცალკე.

2. საამორტიზაციო ანარიცხი გადაიდება საწარმოთა ქონების ყველა იმ ნაწილების ღირებულების განსაზღვრული პროცენტის რაოდენობით, რაც აღნი-შნულია საინვენტარო აღწერილობაში და რაც თავისი ხასიათით ამ საწარმოს ძირითად კაპიტალს მიეკუთვნება (შენობა, მანქანები, გაწყობილობა, იარაღი, სულიერი და უსულო ინვენტარი).

3. საამორტიზაციო ანარიცხის თანხა უნდა შეესაბამებოდეს ქონების სა-შუალო გაცვეთის ღირებულებას, დადგენილი ნორმისამებრ, რაც განისაზღვრება ქონების ხმარების გამძლეობის დროის მიხედვით; თანაც უნდა აღინიშნოს შეს-რულებული კაპიტალური რემონტი.

ამორტიზაციისათვის გადადებული ანარიცხი სრულად შედის საწარმოს პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციაში.

4. ამორტიზაციის ნორმებს დაიწესებს იმ ქალაქის საბჭო ან აღმასკომი, რომლის გამგებლობაშიაც არის საამორტიზაციო ქონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამორტიზაციის საშუალო ნორმებს სახელმძღვანელოდ იძლევა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად.

5. ამორტიზაცია უნდა გაუკეთდეს ქონების იმ ღირებულებას, რაც განსაზღვრული იქნება ამა თუ იმ ქონების სათანადო საწარმოს საინვენტარო აღწერილობაში შეტანის დროს.

6. იჯარით გაცემული ქონების საამორტიზაციო ანარიცხი გადაიდება საიჯარო ქირიდან; ამიტომ საიჯარო ქირის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საამორტიზაციო ანარიცხი და საიჯარო ქირა არ შეიძლება ქონების გაცვეთის ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

7. უშემოსავლო და კონსერვაციაქმნილი საწარმოს ქონების გაცვეთა აღინუსხება ამ საწარმოს საინვენტარო ღირებულების ანგარიშიდან იმ თანხის ჩამოწერით, რაც ცვეთის ღირებულებას შეესაბამება.

აღნიშნულ საწარმოთა კაპიტალური რემონტი, უკეთუ ამას მისი დაცვა მოითხოვს, ადგილობრივი საბჭოს საბიუჯეტო სახსრით მოხდება.

8. ამა ძირითად დებულებათა მე-2 და მე-6 მუხლში აღნიშნული საამორტიზაციო ანარიცხებიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენილობაში მოეწყობა ყველა კომუნალურ საწარმოთათვის ერთიანი საამორტიზაციო ფონდი, რომელიც სათანადო ქალაქის საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაშია.

9. საამორტიზაციო ფონდის სახსარი შეიძლება დახარჯულ იქნეს მხოლოდ ამორტიზირებული საწარმოს აღდგენისათვის ან ქონების გაცვეთილი ნაწილის კაპიტალური რემონტისათვის, ან და ძველი საწარმოს ნაცვლად ახალი საწარმოს აგებისათვის.

10. საამორტიზაციო ანარიცხის თანხა ინახება კომუნალური ბანკის ან მისი ადგილობრივი ფილიალის მიმდინარე ანგარიშზე, ხოლო იქ, სადაც ეს უკანასკნელი არ არის—სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების ან მისი საანგენტოს მიმდინარე ანგარიშზე, ან და სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროში.

11. საამორტიზაციო ფონდიდან სახსარის დახარჯვა სწარმოებს სახარჯთაღრიცხვო წესისამებრ ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშვნით.

12. საწარმოს სრული ლიკვიდაციის დროს, როდესაც მის ნაცვლად მისივე მსგავსი საწარმო არ არსდება, ლიკვიდაციაქმნილი საწარმოს პირად ანგარიშზე დარჩენილი საამორტიზაციო ანარიცხის თანხა, დარჩენილი ქონების ლიკვიდაციით მიღებულ თანხასთან ერთად, ჩაირიცხება ადგილობრივი ბიუჯეტის საერთო რესურსებში კომუნალურ საწარმოთა მშენებლობის საპროგნოზისათვის.

13. ამორტიზირებული ქონების ნაწილობრივი ლიკვიდაციის დროს ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა ჩაირიცხება საამორტიზაციო ფონდში, ხოლო საამორტიზაციო ანარიცხის წილი სათანადოდ შემცირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66. დადგენილება ს. კ. ს.

სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მარტის 13.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ.

1. სვანეთის გზის მშენებლობისათვის საერთო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გასაწევად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტი, რომელიც მოქმედობს ამა დებულების თანახმად.

კომიტეტის სათავეში სდგას პრეზიდიუმი, რომელიც შესდგება შვიდი წევრისაგან.

2. სვანეთის გზის შენების სამუშაოებს კომიტეტი ანხორციელებს აღნიშნული გზის სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით; სამუშაოთა სამმართველოს სათავეში სდგას სამუშაოთა უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია სვანეთის გზის შენების ტეხნიკური და სამეურნეო-საადმინისტრაციო დარგებისათვის.

სამუშაოთა უფროსთან კომიტეტს ყავს თავისი რწმუნებული, რომელიც მოქმედობს სპეციალური ინსტრუქციის თანახმად.

3. სვანეთის გზის სამუშაოების საერთო ტეხნიკური და სამეურნეო-საადმინისტრაციო ზედამხედველობა,—ცალკე სამუშაოთა სამმართველოების მიმართ მიღებული წესის თანახმად,—დაევალება საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს, რომელიც, ისე, როგორც სვანეთის გზის სამუშაოთა უფროსი უშუალოდ,—თავის მოქმედების ანგარიშს პერიოდულად წარუდგენენ სვანეთის გზის მშენებელ კომიტეტს.

4. კომიტეტის მოვალეობას შეადგენს:

ა) განიხილოს, დაადასტუროს და წარადგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში სამუშაოთა უფროსის მიერ შეტანილი გზის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს სამუშაოთა საწარმოო და ფინანსიური გეგმები;

გ) განიხილოს და დაადასტუროს საიჯაროდ გასაცემი მნიშვნელოვანი სამუშაოებისა და ყიდვა-მიწოდების საერთო პირობები;

დ) დაამტკიცოს თანამდებობაზე სამუშაოთა უფროსი და მისი მოადგილე, აგრეთვე სამუშაოთა მუშამოებლები, საგამოკვლევო პარტიების უფროსები და მთავარი ბუხჰალტერი და განსაზღვროს მათი ჯამაგირი;

ე) განიხილოს, დაადასტუროს და წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს სამუშაოების პერიოდული და საბოლოო ანგარიშები და ბალანსები;

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ყველა საკითხი წარედგინება კომიტეტს საქართველოს სსრ ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მიერ, ან და, ამ უკანასკნელის დაკალებით, უშუალოდ სამუშაოთა უფროსის მიერ.

5. კომიტეტის წევრების რიცხვს განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო განსაკუთრებული დადგენილებით.

ასეთივე წესით დაინიშნებიან კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები. კომიტეტის შუდმივ წევრებად ითვლებიან აგრეთვე, თავიანთ თანამდებობათა მიხედვით, საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი და სვანეთის გზის სამუშაოთა უფროსი.

6. სვანეთის გზის სამუშაოთა უფროსს დაეკალება პასუხსახები და უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა გზის საბოლოო გამოკვლევებისა, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შედგენისათვის, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების წარმოების ტეხნიკური უზრუნველყოფა, ფინანსიური და ადმინისტრატიული ნაწილის გამგებლობა სამუშაოთა ცალკე სამმართველოებისათვის არსებულ საერთო დებულების საფუძველზე.

7. კომიტეტის გადაწყვეტილებანი გამოიტანება დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით, ხოლო უკეთუ ხმები თანასწორად გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. სხდომებსა და სხდომებს შუა კომიტეტის საფუნქციო საკითხებს გადასწყვეტს კომიტეტის პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ კომიტეტს მოახსენებს.

უკეთუ სამუშაოთა უფროსი თანახმა არ არის კომიტეტის დადგენილებისა სატეხნიკო-საწარმოო საკითხის გამო, მას შეუძლიან შეიტანოს განსაკუთრებული აზრი, რაც კომიტეტის ოქმითურთ, საბოლოო გადაწყვეტილებისათვის წარედგინება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კომიტეტის დადგენილებანი განხორციელდება კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებით.

8. კომიტეტს აქვს ბეჭედი შემდეგი წარწერით: „სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, 1928-29 წლის ბიუჯეტო წლისთვის, ადგილობრივ ბიუჯეტში შესულ გამოსაღებზე %-ული დანარიცხების დაწესების შესახებ იმ სახალხო მოსამართლეთა გასამრჯელოს გასაღებად, რომელნიც ნოტარიუსის მოვალეობას ასრულებენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, 1928-29 წლისათვის, საქართველოს სსრ ადგილობრივ ბიუჯეტების ხელახლად შედგენის დროს, დაწესონ 25 პროცენტიანი ანარიცხი იმ გამოსაღებზე, რაც ადგილობრივ ბიუჯეტში შედის სახალხო მოსამართლეების მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის (შე-2 მუხლი სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 21-ს დადგენილებისა „სანოტარო ორგანოების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ“ 1927 წ. კან. კრებ. № 2, მუხ. 12). ეს ანარიცხი დაწესებულია სანოტარო ფუნქციების შემსრულებელი სახალხო მოსამართლეებისათვის სპეციალური გასამრჯელოს მისაცემად. ამასთანავე, ეს გასამრჯელო არ უნდა აღემატებოდეს 20 მანეთს თვეში.

2. უფლება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარს, იუსტიციის სახალხო კომისართან შეთანხმებით, განუმარტოს ადგილებს 1-ლ მუხლში აღნიშნული ანარიცხების გამოყენების წესი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისათა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მარტის 19.
ტფილისი—სასახლე.

---

68. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიისა და აგრეთვე მისი დებულების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისია.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 30-ის დადგენილებით („საქართველოს სსრ კან. კრებ. 1929 წ. № 1, მუხ. 13), გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მარტის 19.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

1928 29 საბიუჯეტო წლისათვის ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა და არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების შტატებისა და ჯამაგირების განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს სსრ 1928-29 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცების გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, სათანადო უწყებისა და პროფესიონალური კავშირის მონაწილეობით, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, განსაზღვროს საქართველოს სსრ რესპუბლიკის ცენტრალური დაწესებულებებისა და არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების შტატები და ჯამაგირები 1928-29 საბიუჯეტო წლისათვის იმ თანამდებობითი ჯამაგირების მიხედვით, რაც პროექტის სახით მიღებულ იქნა 1928-29 წლის ბიუჯეტში.

2. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებებსა და სახალხო კომისარიატებს წარადგინონ არა უგვიანეს 3 დღისა საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატში საშტატო-საჯამაგირო ნუსხების პროექტები, რომელთა შედგენისათვის უნდა იხელმძღვანელონ 1-ლ მუხლში აღნიშნულ თანამდებობითი ჯამაგირები.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული წესით განსაზღვრული შტატები და ჯამაგირები არ განისაზღვრება საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოში და საბოლოოა 1928-29 საბიუჯეტო წლისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ზემოაღნიშნულ ცენტრალურ დაწესებულებებსა და სახალხო კომისარიატებს, რათა პირველმა სამუშაო ხელფასის კრედიტები, ხოლო მეორეებმა სასამუშაო ხელფასი 1929 წლის თებერვლის 1-დან გასცენ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული წესისამებრ განსაზღვრული შტატებისა და ჯამაგირების მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცეს ამა დადგენილების 1, 2 და მე-3 მუხლებთან შეფარდებით ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა და არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების სახელმძღვანელოდ სათანადო დადგენილებანი, რომლებშიაც აღნიშნონ, რომ განსაზღვრული შტატთ და ჯამაგირით სამუშაო ხელფასი უნდა გაიცეს 1929 წლის თებერვლის 1-დან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მარტის 13.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 74 №-ში 1929 წ. აპრილის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70. დადგენილება ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრის მეუფროსეთა შედგენილობის პირთათვის, თავმოყრის დროს, ბინის ქირის 50%-იანი შეღავათის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრის მეუფროსეთა შედგენილობის პირთ, მათი საკარეობო თავმოყრის დროს, ბინის ქირა უნდა გადახდეთ ძირითადი განაკვეთის 50%-ს რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს ყველა საქალაქო საბჭოს—მოათავსოს წინა მუხლში აღნიშნული შეღავათი მის მიერ დაწესებულ ბინის ქირის ტარიფში.

3. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მარტის 19.
ტფილისი—სასახლე.

---

71. დადგენილება ს. კ. ს.

„სახელმწიფო შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის პუბლიკაციის თაობაზე“ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ნოემბრის 4 თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლ მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„სახელმწიფო შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის პუბლიკაციის შესახებ“ 1927 წ. ნოემბრის 4-ს თარიღით გამოცემული (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-11 №, მუხ. 164) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. პუბლიკაცია სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის შესახებ, უკეთუ აღნიშნულ ნარდად მუშაობასა და გაყიდვა-მიწოდებას საერთო-საარმო მნიშვნელობა აქვს, მოთავსებულ უნდა იქნეს, ნავარაუდევი ფასის მიუხედავად, გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკაცია ცალკე სამხედრო ნაწილისათვის ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის შესახებ მოთავსებული უნდა იქნეს ნარდი მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ფასის მიუხედავად, გაზეთ „კომუნისტში“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მარტის 26.
ტფილისი—სსახლე.

შ ე ს წ ო რ ე ბ ა

	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
კან. კრ. 1929 წ. № 6.	სისხ. სამ. კოდექსის	სისხ. სამ. კოდექსის
მუხ. 57, გვ. 143, სტრ. 5.	79 მუხ. თანახმად.	61 მუხ. თანახმად.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 600. დაიბეჭდა 1250.